ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №21–ბ

თბილისი

„18“ “07” 2013წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, სსიპ „სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა” (შემდგომში - „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნუგზარ ღვალაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „თეგეტა მოტორსი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი მშვილდაძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, (საფუძველი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტი) შემსყიდველის საჭიროებისათვის საპოხი მასალის (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება 09200000 - ნავთობი, ქვანახშირი და ნავთობპროდუქტები, დეტალური კოდი 09210000 - საპოხი მასალები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 80 (ოთხმოცი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება“).

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 საპოხი (მეგუინი (LP2L (KP2K-35)) 5 კილოგრამი. ერთი კილოგრამის ღირებულება შეადგენს 12 (თორმეტი) ლარი, სულ 80 (ოთხმოცი) ლარი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიმწოდებლის ოფისიდან, მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ. #5.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2 საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს, სასაქონლო ზედნადებს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.3 ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტების შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1 შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.2 მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.3 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.4 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.
7.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება
8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:
8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
8.2.2 უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

14.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ ღვალაძე.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1 მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1 ხელშეკრულება 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'' ორი ეგზემპლარი ,,შემსყიდველთან"

„შემსყიდველი"
სსიპ" სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა"
გარდაბნის რაიონი სოფ. სართიჭალა
სახელმწიფო ხაზინა
კოდი № TRESGE22
ა/ა № 200122900
ს/კ № 226575024

ნუგზარ ღვალაძე
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

„მიმწოდებელი"
შპს „თეგეტა მოტორსი"
ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი
მე–12 კმ. #5
ს/ს „თიბისი ბანკი"
ცენტრალური ფილიალი
კოდი # TBCBGE22
ა/ა # GE80TB0600000024467853
ს/კ #202177205

გიორგი მშვილდაძე
გენერალური დირექტორი